შეთანხმების აქტი №02.09.16/10/137-2

2019 წლის 7 ივნისს გაფორმებულ №02.09.16/10/137 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ.თბილისი 2019 წლის 19 ივლისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობამ (შემდგომში „შემსყიდველი“) და შპს „ნიუ ჰაუსმა“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) 2019 წლის 07 ივნისს გააფორმეს №02.09.16/10/137 ხელშეკრულება ისნის რაიონის ტერიტორიაზე, კერძო საკუთრებაში არსებული მახათას შესახვევი N13-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის დამწვარი ქანობიანი სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე. 2019 წლის 01 ივლისის შეთანხმების აქტით ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრა 62 542,06 (სამოცდაორი ათას ხუთას ორმოცდაორი ლარი და 06 თეთრი) ლარის ოდენობით.

ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობებს შორის სხვაობა იწვევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების შემცირებას 5 947,28 (ხუთი ათას ცხრაას ორმოცდაშვიდი ლარი და 28 თეთრი) ლარით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები ვთანხმდებით შემდეგზე:

1. 2019 წლის 07 ივნისს გაფორმებული №02.09.16/10/137 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შემცირდეს 5 947,28 (ხუთი ათას ცხრაას ორმოცდაშვიდი ლარი და 28 თეთრი) ლარით და განისაზღვროს 56 594,78 (ორმოცდათექვსმეტი ათას ხუთას ოთხმოცდათოთხმეტი ლარი და 78 თეთრი) ლარის ოდენობით.
2. 2019 წლის 07 ივნისს გაფორმებული №02.09.16/10/137 ხელშეკრულება ჩაითვალოს შესრულებულად;
3. წინამდებარე შეთანხმების აქტი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს ზემოაღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;
4. წინამდებარე შეთანხმების აქტი შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომლის თითოეული მხარე ინახება მხარეებთან;
5. 2019 წლის 07 ივნისს გაფორმებული №02.09.16/10/137 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

ისნის რაიონის გამგეობა

გამგებლის მოადგილე

_____ გ. შალვაშვილი

შპს „ნიუ ჰაუსი“

დირექტორი

_____ ა. გეჯაძე

ISANI DISTRICT GOVERNMENT OF TBILISI CITY

Digitally signed by ISANI DISTRICT GOVERNMENT OF TBILISI CITY
Date: 2019.07.19 12:14:27 +04'00'